შუახევის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა შუახევი

N 06-316
24/05/2019

316-07-4-201905241617

შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ინფრასტრუქტურული ღონისძიებებით გათვალისწინებული სამუშაოების მიმღები კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შეიქმნას შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ინფრასტრუქტურული ღონისძიებებით გათვალისწინებული სამუშაოების მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.1. ომარ ტაკიძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

1.2. დავით დავითაძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

1.3 რამინ ფუტკარაძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

1.4. რუსლან ბერიძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

1.5. ალი კეკელიძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ტურიზმის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;

1.6. ჯემალ ზოსიძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;

1.7. თეიმურაზ კილაძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;

1.8. რომან მიქელაძე - შუახევის მონიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სახაზინო განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;

1.9 პაატა დავითაძე – შუახევის მონიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

1.10. შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი.

2. კომისია ღებულობს შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ინფრასტრუქტურული ღონისძიებებით გათვალისწინებულ სამუშაოებსა (გარდა სოფლის დახმარების პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისა) და ბიუჯეტის თანხებით შეძენილ საქონელს.

3. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

4. კომისიის მიერ შედგენილი დოკუმენტები ძალაშია თუკი მას ხელს აწერს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის 2/3.

5. კომისიის მუშაობას კონტროლს უწევს და მისგან ანგარიშს ღებულობს შუახევის მუნიციპალიტეტის მერი.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ინფრასტრუქტურული ღონისძიებებით გათვალისწინებული სამუშაოების მიმღები კომისიის შექმნის შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 29 აგვისტოს №06-592 ბრძანება.

7. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში დაინტერესებული მხარისთვის გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი, №358.

8. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ომარ ტაკიძე

მუნიციპალიტეტის მერი - მ.უ.

ხელმძღვანელობა